ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3187882

ნომერი: AR1489300

თარიღი : 23.03.2017

გაცემის თარიღი : 20.04.2017

გაცნობის თარიღი : 20.04.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი მაზიაშვილი პ/ნ 01024037393
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. N 15 ბ. 16

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 23 მარტის #AR1489300 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2015 წლის 25 ნოემბრის №2308838 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ, აღნიშნულ ბრძანებაში შენობის (ნაგებობის) სართულიანობა და გაბარიტების გრაფაში დაფიქსირებული შენიშვნა: გათვალისწინებული იქნეს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული შენობის არქიტექტურა, სართულიანობა და გაბარიტები, ისე, რომ ნაგებობები აღიქმებოდეს ერთიან კომპლექსად შეიცვალოს - შენობის სართულიანობა განისაზღვროს 7 სართული მანსარდით. პასუხად გაცნობებთ, რომ ნაკვეთის გაბარიტული მაჩვენებლები არ იძლევა მასზე წარმოდგენილი მოცულობის განთავსების შესაძლებელობას, ამასთან მანსარდის დამატებით იმატებს საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა. გამომდინარე იქიდან, რომ ნაკვეთის სამშენებლო რესურსი სრულად ამოწურულია, მშენებლობა ნაწარმოებია პროექტის დარღვევით და შეუსაბამობაშია მომიჯნავე ნაკვეთზე შეთანხმებულ პროექტთან სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 23 მარტის #AR1489300 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.